# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 279 სამშაბათი, 15 დეკემბერი 1909 წ. № 279

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელახლა ნახვება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ. გაზეთი მომავალ 1910 წელს გაზეთი „დროება" გამოვა ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა **დროება** მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. იმავე პროგრამით, როგორც 1909 წ. გამოდიოდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი: წლით, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ 8 მან. და 50 კაპ.; ნახევარი წლით 4 მ. და 80 კაპ; ერთი თვით 80 კაპ. (1 მანეთის მაგიერ).**

**თ ვ ი უ რ ი ფ ა ს ე ბ ი:**

| | წლით | 11 თვით. | 10 თვით. | 9 თვით. | 8 თვით. | 7 თვით. | 6 თვით. | 5 თვით. | 4 თვით | 3 თვით. | 2 თვით. | 1 თვით. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთში, როგორც ტფილისში . . ისე ტფილისს გარედ . . | 8 მ. 50 კ. | 8 მ. — | 7 მ. 50 კ. | 6 მ. 90 კ. | 6 მ. 20 კ. | 5 მ. 50 კ. | 4 მ. 80 კ. | 4 მ. — | 3 მ. 20 კ. | 2 მ. 40 კ. | 1 მ. 60 კ. | — 80 კ. |
| საზღვარ-გარედ . . . . . . . . | 12 მ. — | 11 მ. — | 10 მ. — | 9 მ. — | 8 მ. — | 7 მ. — | 6 მ. — | 5 მ. — | 4 მ. 50 კ. | 3 მ. 50 კ. | 2 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად. დამატებიანი ნომერი (კვირისა) შვიდ კაპეიკად.

**ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კ.**

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ **კ ე დ ლ ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი**, კვირეულის ფურცლებით.

**ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან. ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან. ჭიათურაში—სოფრომ ტარუაშვილთან.**

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კონტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზანონ ამ ადრესით:

Тифлисъ, газет. „Д р о э б а".

---

**დიმიტრი ლუკას ძე ტატიშვილი, მარიამ ლუკას ასული ალნიაშვილისა, დარია და ანნა ლუკას ასულნი ტატიშვილები, ელისაბედ ალექსანდრეს ასული ტატიშვილისა და ნიკოლოზ ანტონის ძე ალნიაშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველნი—დაუვიწყარ დედის, მეორე—დედამთილის და მესამე—სიდედრის

## ლიზას

გარდაცვალებას ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალვა დღეს, 15 დეკემბერს, სოფელ ხიდისთავში (1—679—1)

**მაგდან იმერლიშვილისა**, შვილები: **ლადო, ალექსანდრე, ნინო, საშა** და **კატო**, რძალი—**სოფიო**, სიძე—**გიორგი, მარიამ იანქოვ სა** შვილებით, **ანნა გაჩეჩილაძე** შვილებით და **მართა იმერლიშვილისა** შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას ქალაქ ვლადივოსტოკში პირველი—საყვარელ მეუღლის, დანარჩენნი—ძვირფას მამის, დაუვიწყარ სიმამრის, მამამთილის, სიძის და მაზლის

## მღვდლის სოლომონ იმერლიშვილისას.

წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქმნება 15 ამ თვეს, დილის ათ საათზე, ტფილისში, კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—1000—2)

კნ. **მარიამ გიორგის ასული ავალიშვილისა** შვილებითურთ, კნ. **თამარ გიორგის ასული ჯანდიერისა** მეუღლით და შვილებითურთ და **კნ ნინო გიორგის ასული ფავლენიშვილისა** მეუღლით და შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: ძვირფასის მამისა—მარიამ ბატონიშვილის შვილისშვილის სამსახურს გარეშე მყოფის გენერალ-ლეიტენანტ

## თავ. გიორგი (კიაზო) გიორგის ძის ერისთავისას

პანაშვიდები გადაიხდება ნაშუადღევის $1^{1}/_{2}$ საათზე, და საღამოს 7 საათზე ყოველ დღე თ. ჯანდიერის ბინაზე: ყაზბეგის ქუჩა, № 41. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—580—1)

თავადნი სვიმონ, მიხეილ და ზურაბ გიორგის ძენი და და კნ. ეკატერინე ალექსანდრეს ასული ერისთავნი ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—ძვირფასის მამისა და უკანასკნელი—მამათილისა მარიამ ბატონიშვილის შვილის-შვილის, სამსახურს გარეშე მყოფ გენერალ-ლეიტენ.

## თავ. გიორგი (კიაზო) გიორგის ძის ერისთავისას.

პანაშვიდები გადაიხდება ნაშუადღევის $1^{1}/_{2}$ ს. და საღამოს 7 ს., ყოველ დღე, თ. ჯანდიერის ბინაზე: ყაზბეგის ქუჩა, № 41. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—58—1)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—13)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მისე ქიქოძის სახლი. (0—უ.—72)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ქუთხე). (100—ზალ.—85)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფილისი მეორადი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის მეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—71)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—33.—126)

**ქუთაისი** მასაჟით სამკურნალო კაბინეტი **მ. ტ. ბალანჩივაძისა.**
ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—6.—22)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—6.—130)

**ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში.**
იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ (25—6.—4)

**ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა**
იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (25—6.—23)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

- მ. **ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
- ნ. **ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ 1—2 ს.
- ვ. **ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
- ი. **ეგიაზაროვი**—ნერ და შინ. 11—12 ს
- მ. **კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
- მ. **მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
- ლ. **მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
- ა. **კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფ ლება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—82)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიყინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—67)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—320)

საიუბილეო **ვერის სახალხო აუდიტორია** წარმოდგენა.

ოთხშაბათს, 16 დეკემბერს, 1909 წელს.

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის

**30 წლის სასცენო მოღვაწეობის სადღესასწაულოდ.**

ვერის სახალხო ქართულ სცენის მოყვარენი გამართავენ **საიუბილეო** წარმოდგენას **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ე. ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## „ხ ა ნ უ მ ა"

კომ. 4 მოქმედებად ა. ცაგარლისა.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.**

ბილეთები უკვე იყიდება აუდიტორიის კასაში საღამოს 5—8 საათამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმირთება შაბათს, 26 დეკემბერს.

რეჟისორი **გ. იორდანიშვილი.** ადმინისტრატორი **მკერვალი სამსონა.**

## გლეხი-კაცის ისტორია

**მიიღება ხელის მოწერა გლეხი-კაცის ისტორიაზე**

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა**. სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1 ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდინ, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი"-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების" და „მომავლის" ცალკე ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია.**

(20—8)

## გაფრთხილება

**საკალბასო მაღაზია**

## კორბოზი

პუშკინის ქუჩაზე, ამით აფრთხილებს პატივცემულ მუშტარს, რომ ამ მაღაზიას ქალაქში **განყოფილებები** არა აქვს. დღესასწაულებისთვის მიღებულია მარსელიდან: „ანჩოუსი", „ტრესკა" (morio), „როკფორი" (Rocfor). არის აგრეთვე ყოველთვის ყველი „ბრი", „ნევშატელი" „კამამბერი" და „დელისელი", ვიჩ ნა რუსული და ადგილობრივი, თითონ მაღაზიის მიერ დამზადებული. (2—ნას.—2)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

- ს. **ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
- ი. **გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- ა. **ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- ნ. **მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
- ვ. **ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ 2—$2^{1}/_{2}$ ს. თვალისა.
- ბ. **ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
- ე. **გ. ფელდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—224)

**ახალი სიახლის უბის**

## 1910 წლის კალენდარი

იბეჭდება და მალე გამოვა შედგენილი კ. გულიაშვილისა. (2—973—2)

**ვკისრულობ დაცვას**

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას ზაკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება**. მიიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—6.—16)

**სხვაგან წასვლის გამო შემთხვევით**

**ვ ყ ი დ ი**

## ღვინის და გაკალეინის დუქანს

ალექსანდროვსკის ქუჩა, კუთხე კიროჩნისა. (2—574—2)

**სორაპნის ამხ. გამოცემა.**

**ქართველი და უცხოელი მწერლები**

მიიღება ხელის მოწერა

**მეოთხე წიგნზე**

## განდეგილი

**ლექსები და მოთხრობები.**

წიგნი ჩვეულებრივ ფორმატისა იქნება, 225 გვერ. და ხელის მომწერლებისათვის **ეღირება 25 კაპეიკი კუპონიანად.** ავტორის სურათითა და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით **გაუმჯობესებული იქნება** ყოველის მხრით წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება 15 დეკემბერს და გათავდება 25 იანვარს. წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა. ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზავნოს ფოსტის მარკები —40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვში.

ადრესი: Тиф., Т-ва «Сорапань». (10—1)

## მებაღეობა ძმ. ავსარქისოვებისა

იყიდება ხეხილის ხეები საუკეთესო საზღვარ-გარეთელ და ადგილობრივ ჯიშებისა. არის აგრეთვე დეკორატიული მცენარეები. კატალოგი იგზავნება ყველას უფასოდ პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ადრესი: Ст. Скра Закавк. К. Жел. Дороги, (15—ტ—14)

# ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

კვირას გამოვიდა პირველი ნომერი ყოველ კვირეულ სალიტერატურო ჟურნალის „სხივისა“. ამ ნომერში მოთავსებულია ლექსები ვ. რუხაძისა, იასამანისა, ზომლეთელისა, ვ. მალაქიაშვილისა და სხვათა, მოთხრობები ლალიონისა და ირეთელისა და სხვ. იმავე ნომერშია „სალიტერატურო მიმოხილვა“ ი. გომართელისა. ავტორი აღნიშნავს მთავარ ჰანგს ჩვენის პოეზიისას—ტირილსა და გოდებას, ცრემლების ღვრას.

ჰგოდებს ვაჟა-ფშაველას ფანდური. ცრემლები, ცრემლები და ისევ ცრემლები! აი რა გაისმის ჩვენს პოეზიაში.

ცრემლი სდის ბარათაშვილს, მაგრამ ის ამაყია—თავის ცრემლებს თვითონვე ჰყლაპავს და სხვას არ უჩვენებს, მტირალს სახეს სხვას არ დაანახებს. ცრემლებს ვერ მალავს ილია, აკაკი, დუტუ მეგრელი, ვაჟა-ფშაველა.

თუ წინეთ ეს ცრემლები იშვიათათ გაისმოდა ჩვენს პოეზიაში, დღეს ცრემლები ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობის უმთავრესი თვისებაა.

აიღეთ ჩვენი ახალგაზრდა პოეტები: რუხაძე, ევდოშვილი, ზომლეთელი, იასამანი, თურდოსპირელი, მალაქიაშვილი, ქუჩიშვილი, ლეჩხუმელი, ტუქსიშვილი, შანშიაშვილი, გრიშაშვილი, მჭედლიშვილი და სხ. თუმცა უმეტეს მათგანს ჯერ თავისი ხვედრიც ვერ უპოვია, მაგრამ ცოტათ თუ ბევრათ ამათი პოეზიაც ცრემლებით არ არის განა შეზავებული?

ჩვენი პოეზიის ასპარეზზე ვაჟა-ფშაველა ხმალ ამოღებული გადმოხტა, უშიშარი, შეუპოვარი, საბრძოლველათ გამზადებული მთის შვილი.

ველი—სადა და როდისა
თქრიალს მოიღებს ჯარიო,
რომ მეც მოვახტე შავრასა,
პირს დავისახო ჯვარიო.

დღეს კი ერთათ ერთ ნუგეშ; ისიც ცრემლებში ჰპოებს და ცრემლებს მიმართავს:

იდინეთ უხვად, ვიდრემდე
შემწევს ტირილის ღონია!

ტირილის დედა სევდაა. ჩვენი პოეზიის ცრემლებიც სწორეთ ამ სევდის ნაყოფია.

ბრჭყალით ვუპყრივარ სევდასა,
როგორც არწივს გნოლია.

მთელი ჩვენი პოეზია ბარათაშვილიდან მოყოლებული დღემდე ბრჭყალით უპყრია სევდასა.

განა ბაირონი კი არ იყო სევდით შეპყრობილი? მაგრამ ბაირონის სევდა ცრემლათ არ დამდნარა, არამედ ის იქცა ბრძოლის წყურვილათ, ბრძოლის ცეცხლათ და პოეტი აანთო, აამხედრა, გაასალკლდევა და ისეთი ძალა აგრძნობინა, რომ ბაირონმა თვით ღმერთს გამოუცხადა ომი.

ჩვენი პოეტების ხვედრი კი სულ სხვა არის.

ჩვენი პოეტები კი სევდით შეპყრობილნი ცრემლებში ჰპოებენ შვებას.

ბრძოლა მას შეუძლია, ვისაც ხელფეხი თავისუფალი აქვს, ვინც თავისუფლებასა ჰგრძნობს მთელი თავისი არსებით, ვინც თავისუფლებით სუნთქავს, თავისუფლებას ჰყნოსავს. ხელფეხ შებორკილს, რომელიც თავისუფლებას არა გრძნობს, რომელიც თავისუფლებით არა სუნთქავს,—ამასაც კი შეუძლია ბრძოლა, მხოლოდ ერთის პირობით: იმის ბრძოლას უნდა აკისკროვნებდეს სხივი გამარჯვებისა, იმის ბრძოლას წინ უნდა მიუძღოდეს იმედი გამარჯვებისა. როცა ხელ-ფეხი შებორკილია და იმედიც არსად არის, რადგანაც საიმედო გარეშემო არაფერია, როცა ადამიანი სრულ თავის უძლურებას გრძნობს და ხედავს, მას ცრემლების მეტი აღარა დარჩენია რა, თუ ის პოეტია; ხოლო თუ ის ფილოსოფოსია, მისტიციზმს მიმართავს, ბუნების ცხოვრების გარეშე რწმენის სამეფოში მონახავს ის სულის მოსასვენებელ სადგურს.

ბაირონი თავისუფალი ბრეტანეთის შვილი იყო. ის ხედავდა, ის გრძნობდა თავისუფლებას, ის სუნთქავდა თავისუფლებით. ამიტომ სევდა მასში მხოლოდ ბრძოლის წყურვილს აძლიერებდა.

ჩვენ კი... ჩვენ ბედმა გვარგუნა სულ სხვა ცხოვრება, სხვა ხვედრი. ცხოვრების პირობები ჩვენ მძიმე ლოდივით გვაწევს, სულს გვიხუთავს, გულს გვიწამლავს; გამოსავალი გზა არსად არის, არც არავითარი იმედია გამოსვლისა: ჩვენ ვგრძნობთ ჩვენ მონობას, ჩვენს უძლურებას და ცრემლების მეტი აღარა დაგვრჩენია რა.

უბედო ბედმა გამრიყა,
მიმაკლა ლოდსა კლდისასა;
ვერც არა თავსა ვუშველე,
ვერც გაჭირვებას ძმისასა.
დამეხშე სმენავ, დამეხშე
ნუღარც რამ გამიგონია!
ცრემლებო, თქვენი შვილი ვარ,
თქვენა ხართ ჩემი ფონია,
იდინეთ უხვად, ვიდრემდე
შემწევს ტირილის ღონია!

უმეტეს შემთხვევაში ჩვენი პოეტი ბრძოლის სიმღერით გამოდის სამწერლო ასპარეზზე. გაივლის დრო და ბრძოლის სიმღერა ოხვრათ გადაიქცევა. სული სასოწარკვეთილებას ეძლევა, გული ტყდება, სიმები წყდებიან, იმედი ჰქრება, გრძნობა ძალისა ალაგს უთმობს საშინელს გრძნობას უძლურებისას, ცრემლები და რჩება, მხოლოდ ცრემლები. ასეთ გლოვის მიზეზს ავტორი ჰხედავს დღევანდელ ცხოვრების სინამდვილეში. ჩვენსა და მთელს რუსეთში ცხოვრება დახშულია, სხივის შუქი შეკრულია. ყველგან მონობაა, ტანჯვა-ვაება და პოეტიც, როგორც უფრო გრძნობიარე არსება, იტანჯება.

გარეშე სანუგეშო არაფერი არ არის. ყოველისფერს გარდაქმნა სჭირია. არსად არის ადამიანური ცხოვრება,—მხოლოდ ბარბაროსობაა და მუშტის ბრძანებლობა. საჭიროა სულ სხვა ცხოვრება სულ სხვა საფუძვლებზე. პოეტები თვალს აპყრობენ „დიდებულ“ ხალხს. გაიღვიძე დიდებულო ხალხო, გაანძრიე ხელი, შეჰქმენი სასახელო ცხოვრება! მაგრამ „დიდებულ“ ხალხს არაფერი არ ესმის; ის მონაა, მორჩილია თავისი ხვედრისა,—ეს ხვედრი კი მეტად მწარე, მეტად უნუგეშოა...

რუსეთში ხალხი ჯერ უფლებრივ შეგნებას მოკლებულია: უფლება და ძალა მას ერთი-მეორისაგან ვერ გამოუყვია. იმის შეგნებაში ძალა იგივე უფლებაა, უფლება იქ არის, სადაც ძალაა. ამიტომ ის ძალას ემორჩილება, ძალის მონაა, ძალას არ ეწინააღმდეგება.

# დეპეშები
(პეტერბ. დეპეშითა სააგენტოსაგან)

13—14 დეკემბერი.

## საზღვარ-გარედ

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ლონდონის ოფიციალურ წრეებში შეუტყვია: იაპონიის მთავრობა სიცრუედ სთვლის რუსეთის პრესსის მიერ გავრცელებულ ხმების ომის შესახებ, ასეთივ აზრისაა იაპონური პრესსა. რუსეთსა და იაპონიას შორის ისეთი საკითხი არ აღძრულა, რასაც საქმის გამწვავება შეეძლოს, ორთავე სახელმწიფოს შორის მეგობრული განწყობილებაა.

**სტამბოლი.** ინჟენრებმა გამოიკვლიეს და გეგმა შეადგინეს დუნაი-ადრიატიკის რკინის გზის ერთი ნაწილისა, სახელდობრ სერბიის საზღვრამდე. იპეკის მიდამოებში ალბანელებმა ინჟენერების თანმხლებელი კარის-კაცები დამცველ რაზმად მიიღეს და სამჯერ ესროლეს თოფი. გაზაფხულზედ ინჟენრები რკინის გზის მეორე ნახევარსაც გამოიკვლევენ. რკინის გზა ადრიატიკის ზღვამდე უნდა მივიდეს.

**პარიზი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა მიიღო მარეკოს განსაკუთრებული საელჩო მინისტრი და საელჩოს წევრები ყველა საკითხებში შეთანხმდნენ. რაც შეეხება მაროკოს სესხს, ამის შესახებ მინისტრი ვერ დაეთანხმა საელჩოს წევრებს. ამ საკითხში შეთანხმებას ხელს ის უშლის, რომ ჯერ გამორკვეული არ არის, მაროკო რა საფინანსო გარანტიებს მისცემს საფრანგეთს, რომ ფული არ დაიკარგება.

**ბრიუსელი.** სამინისტრომ გადადგომა ითხოვა. მეფემ სთხოვა მინისტრებს თავ-თავიანთ ადგილებზედ დარჩნენ.

**პრაგა.** სადგურ უხერსკის ახლო სამგზავრო მატარებელი საქონლის მატარებელს დაეჯახა. მოკვდა 10, მძიმედ დაშავდა 20 კაცი. ამის გარდა ბევრი მგზავრი მსუბუქად დაშავდა.

**პეტერბურგი.** ამერიკაში გარდაიცვალა ცნობილი ქიმიკოსი დედლეი. ამას წინედ კოპენჰაგენის კონგრესზედ განსვენებული ერთ საერთო-შორისო საზოგადოების პრეზიდენტად აირჩიეს.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტო იუწყება: მაროკოს საელჩომ გარეშე საქმეთა მინისტრს, პიშონს გადასცა ოფიციალური წერილი. წერილში ნათქვამია, რომ ყველა საკითხებში საფრანგეთთან შევერთდითო.

**პრაგა.** გამოირკვა, რომ მატარებლების დაჯახების დროს მომკვდარა 14, დაშავებულა 20 კაცი. დაიმტვრა ორი ორთქლ-მავალი და ექვსი ვაგონი.

**ოპორტო.** წვიმების გამო მდინარე დუზობრი ნაპირებიდან გადმოვიდა. ადიდებულმა წყალმა დიდი ზარალი მიაყენა ქალაქის მცხოვრებლებს.

**სალონიკი.** მინისტრ ხალაჯზაიანი განსაკუთრებული მატარებლით მონასტირში წავიდა. სადგურ კარაფერიასთან მინისტრის მატარებელი სამუშაო მატარებელს დაეჯახა. მოკვდა მოძრაობის უფროსი და ორი მუშა, მძიმედ დაშავდა 2 მუშა.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** დამცველ პოლიციის უფროსის, კარპოვის მკვლელი სარატოველი აღმოჩნდა, იგი სოფლის მასწავლებლად ნაცყოფია, გვარად ალექსანდრე პეროვსკი.

**არხანგელსკი.** პოლიციამ აღმოაჩინა ვერცხლის მანეთიანების ყალბი ქარხანა. დააპატიმრეს 2 კაცი.

**ურალსკი.** სენის დაწყობიდან აქნობამდის შავი ჭირით ავად გახდა 160, გარდაიცვალა 144, მორჩა 2, ავად არის 14 კაცი. ხუთი დეკემბრიდან ავად აღარავინ გამხდარა.

**პეტერბურგი.** სათათბიროს კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი საყოველთაო სწავლის შესახებ. იმ გუბერნიებში, სადაც ერობაა, საყოველთაო სწავლის შესახებ დადგენილებას სისრულეში იყვანს სამაზრო ერობა და ქალაქები, სადაც ერობა არ არის, იქ სოფლის საზოგადოებებმა შუამდგომლობა უნდა აღძრან სამოსწავლო ოლქის უფროსებთან, რომლებიც შესაფერ განკარგულებას მოახდენენ. პირველ დაწყებით სკოლებში სიარული სავალდებულოა ყველა ბავშვებისათვის 9—11 წლამდის.

**მოსკოვი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 6, გარდაიცვალა 3 კაცი.

**კიევი.** ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორთა კრებამ დაადგინა, ზაფხულში შეუდგეს ქალთა წმ. ოლგას უნივერსიტეტისთვის შენობის აგებას. შენობა ხუთ სართულიანი იქნება და დაიტევს 3000 მსმენელ-ქალს.

**ხარკოვი.** საგუბერნიო ერობამ 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში სხვათა შორის შეიტან 248,000 მანეთი. ამ ფულით მთელს გუბერნიაში სასკოლო შენობები უნდა აშენდეს.

**სმოლენსკი.** სულ ერთიანად დაიწვა დუსანსკის სოფლის სამართველო. სოფლის სამმართველოში, სხვათა შორის, მოთავსებული იყო ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და საკრედიტო საზოგადოების კანტორა. ცეცხლში დაიწვა ფულად 100 მანეთი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად აღარავინ გამხდარა, ავად არის 23 კაცი.

# ჭრელი შენიშვნები
აფხაზთა და აფხაზეთის შესახებ.

4.

წინა წერილებში ვცდილობდი მკითხველის ყურადღება მიმექცია იმაზე, თუ რა „ძალა და ძლიერება“ შესწევთ ჩვენებურ შავრაზმელთ. ეხლა მინდა მოვიყვანო ორიოდე მაგალითი მათი ხრიკებისა და ოინებისა. რა საკვირველია, რომ ადამიანს, რაც უნდა ძლიერებით იყოს შემოსილი, [illegible] არ [illegible] ჯდება: ხან და ხან ბედის [illegible] ბულ ადამიანის [illegible] თითოოროლა ღრუბელი გაინავარდებს ხოლმე. ჩვენი შავრაზმელებიც იმისთანა მდგომარეობაში ჩავარდებიან ხოლმე ზოგჯერ, როცა მათი ყოვლად შემძლე რაში—„неблагонадежность“—წაიფორხილებს. ამისთანა შემთხვევისათვისაც ისინი მზად არიან, როგორც ერთმა იმათგანმა საჯაროდ განაცხადა, „чѣмъ хуже идутъ дѣла городскаго самоуправленія, тѣмъ лучше для насъ!“-ო და ამ მცნებით სცდილობენ ადვილათ გავიდნენ ფონს. ეს მცნება კი ჩვეულებრივ მომაკვდავთ ენაზე ნიშნავს: თუ „ტუზემცი“ გადის, ისევ სჯობია უვიცი, საქმისათვის გამოუსადეგარი გავიდეს, რომ მით ქალაქის საქმეები აიწეწ-დაიწეწოს და, საზოგადოდ, „ტუზემცთა“, როგორც საქმიან ხალხისა, ნდობა დაიკარგოს, კრედიტი დაეცეს. და აი ამიტომაც ისინი სიამოვნებით ხმას აძლევენ უსწავლელ, საქმისათვის შეუფერებელ „ტუზემცთა“ და ყოველ ღონეს ხმარობენ ინტელიგენცის წინააღმდეგ.

როგორც მოგეხსენებათ, სოხუმში არსებობს საურთიერთო ნდობის საზოგადოება; ერთმა ბეჩავმა სოფლის მასწავლებელმა სურვილი განაცხადა ამ ბანკის წევრობისა. არ მიიღეს. რადა? იმიტომ, რომ ერთმა შავრაზმელმა განაცხადა: ის ინტელიგენტია და თქვენზე ბატონობას დაიჩემებსო! როცა ნ. თავდგირიძის კანდიდატურა წამოაყენეს, ამ ჯგუფმა თავის მხრივ წამოაყენა კანდიდატურა ერთის „ტუზემცისა“, რომელიც დროზე მიჰხვდა, რაშიაც იყო საქმე და თავს უშველა. ერთის სიტყვით, სცდილობენ, როგორმე „ტუზემცებს“ ბოლო მოუღონ და მეტს არაფერს დაეძებენ: ამისთვის ყველა გზა კანონიერია.

აი ერთი მაგალითიც. როგორც იყო, უკანასკნელ წლებში სოხუმს ბედმა გაუღიმა და მიეცა რეალური სასწავლებელი. სხვა ვალდებულებათა შორის ქალაქმა უნდა მისცეს სასწავლებელს ბინა. ამისთანა პატარა ქალაქში, როგორიც სოხუმია, შესაფერი ბინა ძნელი საშოვა-

# ჩვენი მწერლობის ისტორიიდან
ბაირონიზმი ჩვენში.

2 *)

ბაირონისტური მიმართულება გასაოცარის სისწრაფით გავრცელდა ევროპის ყველა კუთხეში. ამ გარემოებას ხელს უწყობდა როგორც ბაირონიზმის კოსმოპოლიტიური ხასიათი, ისე ისტორიული პირობები. სასოწარკვეთილ და მიძინებულ ევროპას ბაირონიზმის ცხოველ-მყოფელი ნაკადული ციურ მანანად მოეჩვენა, ღვთიურ ნექტრად, უკვდავ მალამოდ მიიღო მან იგი. სხვათა შორის, რუსეთში ბაირონისტულმა მიმდინარეობამ ორგვარი სახის გავლენა მოახდინა. ერთი იყო ზეზეური, უბრალო წაბაძვით გამოწვეული, მოძრაობა, მეორე კი—უფრო ღრმა, უფრო გულ-წრფელი, უფრო შეგნებული და აწონილ-დაწონილი. პუშკინის სიტყვით, მოსკოველ ახალ-გაზდობამ მოულოდნელად, სრულიად უმიზეზოდ ბაირონიზმის სამოსელი მოისხა და საზოგადოებას, რომელსაც ამ ახალგაზდობის წინაშე არავითარი ბრალი არ მიუძღოდა, ზიზღი და მძულვარება გამოუცხადა. მათ გადაიღეს მხოლოდ ბაირონისტური მოდის გარეგანი ფორმა, წვრილმანი ოალცეები—არა-ბუნებრიობა ქცევასა და ლაპარაკში, უადგილო დაცინვა, ხელოვნური მელანქოლია და სხვა, ხოლო ბაირონის პროტესტი, მსოფლიო გოდება, ფილოსოფიური მჭვუნვარება, პიროვნების კულტი და ღრმა ფსიხოლოგიური ტრაგიზმი,—ყოველივე ეს მათთვის უცნობი ხილი იყო. თვით პუშკინმაც კი ვერ დაიჭირა განსაზღვრული პოზიცია ბაირონიზმის მიმართ. თავის პოემაში „Цыгане“ პუშკინმა დაჰგმო დემონიური გმირი, მაგრამ ევგენი ონეგინს კი, რომელიც ცრუ ბაირონისტის ტიპს უფრო წარმოადგენს, ეტრფის და ეალერსება. ცრუბაირონისტის ტიპსაო, ვსთქვით ჩვენ... დიახ, ონეგინი ვერ არის დემონიური არსება: მას, როგორც პისარევმა სამართლიანად შენიშნა (სტატია „Базаровъ“), ნების სიმტკიცე აკლია, და ნება კი დემონიურ გმირთა აუცილებელ თვისებას შეადგენს.

ლერმონტოვმა პუშკინზე უკეთ გაიგო ბაირონიზმი. პროფესორ სტოროჟენკოს აზრით, ამისი ახსნა იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ლერმანტოვი უფრო ახლო იდგა ბაირონთან თავის ტემპერამენტით. პეჩორინი, ლერმანტოვის ეს კოპიო, თავის უარყოფით და ამაყობით, დემონიურის ხასიათით და მელანქოლიურის რეფლექსიით ბაირონის პერსენაჟების მახლობელი ნათესავია. ტანჯვა, რომელსაც იგი განიცდის, გულ-წრფელი, ბუნებრივი და ტრაგიკულია.

ბაირონიზმის ერთი ტალღათაგანი საქართველოსაც მოჰხდა, მხოლოდ სუსტი გავლენა კი იქონია მაზე. ერთად-ერთი ადამიანი, რომელიც ამ გამოძახილს გამოეხმაურა,—არის ნიკოლოზ ბარათაშვილი. ის გარემოება, რომ ბაირონიზმმა ვერ მოიპოვა ფართო ნიადაგი ჩვენში, ვერ შეჰქმნა მიმდინარეობა, ორის მიზეზით აიხსნება:

ა) დასავლეთ ევროპაში, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ბაირონისტულ მიმართულების წარმოშობა შედეგი იყო საფრანგეთის რევოლუციის— მიერ იმედების გაქარწყლებისა; ჩვენს ცხოვრებაში ხსენებულ პირობას ადგილი არა ჰქონდა, მაშასადამე, არც ნიადაგი იყო ბაირანიზმისა, როგორც ფართო მიმდინარეობის შექმნისა ან და გადმონერგულს განვითარებისა.

ბ) იმ დროს ჩვენი მწერლობა ისის იყო ისახებოდა და ინტელიგენცია, ამ სიტყვის სწორის და საუკეთესო მნიშვნელობით, არც-კი იყო, თითო-ოროლა პირს თუ არ მივიღებთ მხედველობაში.

მიუხედავად განსაკუთრებული პირობებისა, ბარათაშვილმა ბაირონის შეგნებულად შეთვისება მაინც შესძლო. მისი ბაირონისებური სულით გამსჭვალვა ბუნებრივი იყო და არა ხელოვნური, არა მოდით და ზეზეურის გატაცებით გამოწვეული.

ჩვენმა მგოსანმა ცხოვრების სიმწარე მალე იგემა. პატარაობისას, ცელქობის დროს, ორთავე ფეხი დაიშავა. შემდეგ, თუმცა ძალზე ნიჭიერი იყო, მაინც ვერ მოახერხა ვერც სამხედრო სამსახურში და ვერც უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. ადგილში ყოფნის დროს დიდი თანამდებობის მიღება ეწადა, რომ სასარგებლოდ ემოღვაწნა და სახელოვანი რაიმე საქმე გაეკეთებინა, მაგრამ ბედმა მხოლოდ მეორე-მესამე ხარისხოვან ადგილზე ყოფნა არგუნა წილად. გარეშე წრემ თავისი უფერულობით ბარათაშვილის უკმაყოფილება კიდევ უფრო გააღრმავა. გლეხობა ძალზე შევიწროვებული იყო, ხოლო თავად-აზნაურობა გადაშენების გზას ადგა. სოფლელები მონატონურად ეწეოდნენ ლუარსაბ თათქარიძის პირუტყვულ ცხოვრებას, ქალაქში მცხოვრებნი კი დროს მხოლოდ სადილებში, ნადირობაში, ჭორიკანაობა-მითქმა-მოთქმაში და სიყვარულ-არშიყობის ინტრიგებში ატარებდნენ. სურათი საზარელის წყვდიადით იყო მოცული. „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა სულიობლად იგრძნო, „ვინც მაღალი გრძნობის მქონი მეგონა, იგი ვნახე უგულო“,—სწერს მგოსანი თავის დას,—„ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მწამდა ზეგარდმო ნიჭათ, მას არცა თუ განსჯა ჰქონია..... სად განისვენოს სულმა, სად მოიდრიკოს თავი“? როგორც ვხედავთ, პოეტის ტანჯვა სწორედ ტრაგიკულია ევგენი და ონეგინის მოწყენას სრულებით არ წააგავს. უკანასკნელს იმიტომ მოსჭარბდა ცხოვრება, რომ ბევრი იქეიფა, ბევრი იარშიყა, ბევრი ისიყვარულა და ამით საუკეთესო თავისი გრძნობები მოიხლუნგა. ბარათაშვილის ცხოვრებაზე გულის აცრუება კი ყოველივე ამის გარეშე მოქმედებს, ის სულ სხვა, უფრო მაღალ მიზეზებით, უფრო სერიოზულ მოტივებით არის გამოწვეული. ონეგინის უარყოფა მატერიალისტურ ნიადაგზე შემუშავდა, ხოლო ბარათაშვილისა—იდეურ სჯისა და ფიქრის შედეგია, ფილოსოფიურ-ფსიხოლოგიურ განცდის რეზულტატია.

პოეტის პესიმისტური სულის-განწყობილება თანამედროვე ქართულ მწერლობამ, ორბელიანების პატრიოტულმა რომანტიზმა კიდევ უფრო გააღრმავა. რაც შეეხება რუსეთის სიტყვა-კაზმულ ლიტერატურას, სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჟუკოვსკის თვალცრემლიანმა, რამოდენიმე სანტიმენტალურმა მელანქოლიამ მის პოეზიას თავისებური ელფერი მისცა, ბარატინსკის ლირიკამ გაწავითარა მისი ფილოსოფიური მონაქნევი, ხოლო ლერმონტოვის განსაკუთრებულ გავლენას უნდა მიეწეროს ის, რომ ჩვენი მგოსანი ძალიან ხშირად გვითითებს სულის მარტოობაზე. ეს მხარე ლერმენტოვს კარგად აქვს განვითარებული თავის პოეზიაში.

რაღა გასაკვირალია, რომ ყოველივე ამის შემდეგ, ბარათაშვილისათვის ადვილი და ბუნებრივი იყო ბაირონის გაცნობა და მისი პოეზიის ალფა-ომეგის შეთვისება.

3.

შევეცადოთ ბარათაშვილის პოეზიის გარჩევას და პარალელი გავიყვანოთ მასა და ბაირონიზმს შორის.

ბაირონიზმის განვითარების პირველ საფეხურზე ჩვენ ვამჩნევთ ეგრედ წოდებულ დემონიურ გმირს, ე. ი. ისეთ პიროვნებას, რომელიც უბრალო მასას არ წააგავს, პირიქით, ბევრად უფრო მაღლა სდგას ბრბოზე, არა ჩვეულებრივის ჭკუითა და მხნეობით არის აღჭურვილი, მაგრამ იმავე დროს ამ ნიჭსა და ძალის გამო მწარედ იტანჯება, რადგან ისმენს უკეთესად, ვიდრე უბრალო მომაკვდავი, ჰხედავს უფრო შორს და გამჭრიახად, ვიდრე ეს სხვებს სჩვევია, ჰგრძნობს და აზროვნობს უფრო ცხოვლად ვიდრე დანარჩენები. ამგვარ ადამიანში ღვივის ის ცეცხლის ალი, ის ღვთაებრივი ნაპერწკალი; რომელსაც დიდებული მგოსანი ჭკუისა და გულის ციებ-ცხელებას ეძახის. ბაირონის აზრით, ამ ზესთაბუნებრივმა ძალამ წარმოშვა ქვეყანათა დამპყრობნი, სარწმუნოებისა და სექტის დამაარსებელნი, სოფისტები, პოეტები და საზოგადო მოღვაწენი. „შენ მე იმიტომ მიყვარხარ, რომ მომანიჭე ტანჯვა და ნაღველი,—სწერს პშიბიშევსკი:—ის ნაღველი, რომელიც შემოქმედებით აზრსა ჰქმნის, ხელებს ღვთაებისადმი აღაპყრობს, ტვინს ცნობიერების წყურვილით აღელვებს, კაეშნით ავსე, არსებობის საუკუნო ნაღველი, მუდმივი აღტაცება და მოუსვენრობა“. როგორც ვხედავთ, ეს ნიჭი ერთნაირი საჩუქარია, რომლითაც ბუნება მხოლოდ ზოგიერთებს აჯილდოვებს, მაგრამ ამასთან ერთად მწარე ხვედრსაც არგუნებს ხოლმე მათ. აი, ამგვარი დემონი, ამგვარი მშფოთვარე სული არსებობს თვით ნ. ბარათაშვილში.

ეს ცეცხლის ალი ადამიანში ზნეობრივ-გონებრივ გათიშვას ახდენს, რეფლექსიას ანვითარებს, სკეპტიკურ თვალსაზრისს უმუშავებს, მყუდროებას უხშობს. ადამიანი სულის სიმშვიდეს ჰკარგავს, საკუთარ თავს უკვირდება, თავის გულის სიღრმეში მალ-მალ იხედება, ანალიზს უშვრება თავის გრძნობებსა და ფიქრებს, სწონავს თითოეულ თავის მოქმედებას და ფეხის ნაბიჯს. „სად გავექცე ჩემსავე თავსა?“ ამბობს ბაირონის ერთი გმირთაგანი, თვით უშორეს ქვეყნებშიაც კი ცხოვრების ჟანგი, აზრის დემონი მდევნის და არ მასვენებსო“. („ჩაილდ-ჰაროლდი“).

სულთ ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

ასე ჰგოდებს ნიკ. ბარათაშვილი. თავის-თავად ცხადია, რომ ბაირო-

* იხ. „დროება“ N 277.

...ია. სანამ მარტო დაბალი კლასები იყო, სასწავლებელი მოთავსებული იყო კერძო კაცის სახლში. მაგრამ ... კლასები მოემატა და ახალი ბინა დასჭირდათ. მზა-მზარეული აღარ აღმოჩნდა და იძულებული. იყვნენ გადაეკეთებინათ სახლი. ეს გადაკეთება შედარებით დიდს თანხას თხოულობდა, ასე 30—40 ათას მანეთამდე. სახლის ქირად კი ყოველ წლივ უნდა ეხადა ქალაქს 7—8 ათასი მანეთი და ისაც 10—15 წლის განმავლობაში, რადგან ამაზე უფრო მოკლე ვადით არავინ უთმობდა სახელს. ამ გაჭირვებიდან გამოიყვან ქალაქი თვით-მმართველობის ხელმძღვანელმა და ერთმა მდიდარმა ებრაელმა (კარაიმშა) ი. შ. ბაბაჯანმა. „ველსა ხვრელიდან გამოიყვანს ენა, ტკბილად მოუბარი", სთქვა პოეტმა, და არ ვიცი ტკბილმა ენამ, თუ სხვაც რამე მოსაზრებამ გააბედვინა ამ პატივცემულ ბაბაჯანოვს, ხოლო ფაქტი-კი ის არის, რომ ასი ათას მანეთად შეფასებული შენობა მამულიანად დაუთმო ქალაქს 73 ათას მანეთად და შეღავათიან პირობით: უპროცენტოდ ათი წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ უნდა გადაუხადოს ქალაქმა ეს ფული ბაბაჯანს. ეს კი თითქმის ჩუქება უდრიდა, რადგან ათი წლის განმავლობაში ამისთანავე შენობაში მარტო ქირად გაუვიდოდა ქალაქს 70—80 ათასი მანეთი. ბაბაჯანის შენობა კი საკუთრებად რჩებოდა ქალაქს და მით მკვიდრი საფუძველი ჩაეყრებოდა ამ ერთად ერთს საშუალო სასწავლებელს მთელს ასიც ათას მცხოვრებიან ოლქში. ამ რიგად მადლობის მეტი რა ეთქმებოდა ან ბაბაჯანს, როგორც სახლის დამთმობს, ან საქმის მომგვარებელს. მაგრამ შავრაზმელი რის შავრაზმელია, თუ „основи"-ს ღალატსა და მტრობას არ აღმოაჩენს. მადლობის მაგიერ ეს ორი პატივცემული პირი ლანძღვის საგნად შეიქმნენ ამ საქმისთვის საგანგებოდ მოწვეულ ქალაქის საბჭოს სხდომაზე. შავრაზმელთა ბელადმა იერიში მიიტანა „უხმო ხმოსნებზე" და ის-ის იყო გაიმარჯვებდა, რომ ქალაქის თავის მედგარ წინააღმდეგობას უკუ არ ეგდო ეს იერიში: დამარცხებული ბელადი ივლტო სირცხვილეული და გონზე მოსულმა ხმოსნებმა დიდის მადლობით მიიღეს ბაბაჯანისგან ეს შენობა. ალბად ქართველ ერის გენიოსობას ჩვენ, სოხუმელებ, ვყავდით სახეში, როცა შემდეგი მარგალიტი ობოლი წარმოსთქვა: „სოფელი ვნახე უძღლო, შიგ გავიარე უჯოხო!"

* * *

გასულ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საზოგადოდ სოხუმის ოლქი, კერძოდ კი მისი საუკეთესო, თვალთ-წარმტაცი ნაწილი მდინარე კოდორიდან წყლე გაგრიფშამდის მიზანში ამოიღო რუსეთის ბურჟუაზიამ და საუკეთესო ადგილებიც შეიძინა. ტყუილად კი არ უწოდებენ ამ ნაწილს შავ-ზღვის ნაპირას „კავკასიის რივიერას"—ისეთი საუცხოვო და თვალ-წარმტაცი ადგილმდებარეობა აქვს. მომვლელი პატრონი რომ ჰყავდეს, მგონი თვით ევროპის განთქმულ რივერასაც აჯობებს. ეს ნაწილი ვიწრო ზოლად (სიგანე 10—20 ვერსამდე) არის გაჭიმული კოდორიდან გაგრფშამდე 110 ვერსის მანძილზე. ნიადაგი ჩინებულია, მთის ანკარა, კალმახებით სავსე ნაკადულებით დასერილი-მორწყვეულია ორ სტიქიონის შუა: წინ მუდამ წარბ-შეკრული შავი ზღვა. უკან-კი თოვლითა და ნისლით დაბურული გოლიათი მთები.

აი ეს ბუნებით უხვად დაჯილდოვებული ნაწილი აფხაზეთისა მოსკოველ და პეტერბურგელ ჯიბესქელთა ხელშია უკვე. მიდიხარ და მისდევ ამ ნაპირს: აქ ბაღია, სახელად „Отрадное", იქ „Счастье", ფეხს მოინაცვლებ „Любовь", ანდა „Дружба"-ს კარებს მიადგები! მოცლილ ადამიანის ფანტაზიამ რა და რა სახელწოდება არ გამოუგონია ამ აგარაკებს! მათ უწინდელი პატრონები აფხაზები კი ხელცარიელნი დარჩნენ: რაც ფული აიღეს, შემოეხარჯათ, მამულიც ხელიდან გამოუძვრათ. ერთის სიტყვით, თავიანთ უფროს ძმების—ქართველ თავად-აზნაურობის პირ-წავარდნილი ტყუპები არიან. ამას ვინღა ჩიოდა, რადგან კანონიერად სრულდებოდა. საქმე უფრო სხვაფრივ დატრიალდა. როგორც ქალაქ სოხუმს, დაბებს ოჩამჩირესა და გუდაუთსაც მიეზომათ საკმაოდ აფხაზთა ნახნავ დედულ-მამული. აი, ამაზე დარჩათ ახლად მოსულ ჩრდილოეთელთ თვალი და „კანონი მოსპეს". შავრაზმელთა მეცადინეობით ორივე ამ დაბას აეკრძალა, სამოსახლო ნაჭრები გაეყიდნათ „ტუზემცებზე": თუ მეხსიერება არა მღალატობს, 1897 წელს გამოვიდა ბრძანება—არც ერთი მტკაველი მიწა დაბისა არ მიეცეთ „ტუზემცებს", და ამ ბრძანებით დაბების წინმსვლელობა შეაფერხებს, შეაჩერეს. იმ ხანებში, როგორც მახსოვს დ. გუდაუთას 800-მდე დაგეგმული ნაჭერი ჰქონდა დამზადებული გასაყიდად, და რადგან საზოგადოდ ეს ნაჭრები შედარებით ძალიან იაფად იცემოდა (12 მ—50 მან. ნაჭერი), ღარიბი ხალხი, მაგ., მეურმეები მეღროგები, წვრილი ხელოსნები და სხვანი მიეტანნენ და ერთის წლის განმავლობაში გაიყიდებოდა. დაბაც გაიზდებოდა და ღარიბი ხალხიც ხელს მოითბობდა, რომ მათ ბედნიერებას გზაზე ნამდვილი რუსული „ოტკაზი" არ დახვედროდათ. რისთვის? რად დააყენეს მრავალტანჯული „ტუზემცი" კანონის გარეშე? იკითხავთ. რისთვის და იმისთვის, რომ მაშინ, როგორც ეხლა, ბ-ნთ პალმების მეფობის დრო იყო, რომელნიც ქადაგებდნენ: „Насущные интересы Россiи требуютъ оттѣснить всѣхъ туземцевъ отъ береговъ Чернаго моря вглубь страны на 25 верстъ и засѣлить русскими *).

„მრავალ-ტანჯულო „ტუზემეცო", შენს თავზე ამასვე გაიძახოდა რომელიც, ბიზანტიელიც, გენუელიც, სპარსელიც და თათარიცა. ყველას გადურჩი, გულს ნუ გაიტეხ, ეხლაც გადურჩები!

ამ რიგად „ტუზემეცს" (იგულისხმე, აფხაზ-ქართველი) მოესპო უფლება კერძო საკუთრების შეძენისა. რა და რა საშუალებას არ მიმართეს ადგილობრივმა მკვიდრებმა, ვის არ შესჩივლეს, შეაწუხეს ცა და ბარიც, გარდა ტყუილა შრომისა და ხარჯის მეტი არაფერი გამოდნა. მთელი შვიდი-რვა წელიწადი ამ ყოფაში იყვნენ, სანამ 1905 წელმა ისევ არ დაუბრუნა ეს უფლება „ტუზემცებს". 1905 წელი დავიწყებას მიეცა და ისევ ნელ-ნელა ფეხს იკიდებს „ტუზემცების" დევნა. მოიგონეთ ის ოთხასი ული მეგრელი, რომელნიც თავიანთ ოფლითა და წვალებით ნაშენებ სახლების ლაქით აღბეჭდილ კარებს შესცქერიან ცას ქვეშიდან და სიცივით სული ხვდებათ! არა, კართაგენი უნდა დაინგრეს! ბიუროკრატიის პარპაშობას ბოლო უნდა მოეღოს, თორემ ადამიანს არ ეცხოვრება ამ ქვეყნად!

კიდევ ორიოდე სიტყვა. ამ გაზაფხულზე დ. გუდაუთის დეპუტატებად ამოირჩიეს ამ მხარეს პატიოსნობით ცნობილი დ. ნადარეიშვილი და ალ. ლადარია. გარნა „პატიოსნებამ" უღალატა: მაგვარი კაცი ჩვენთვის სახიფათოაო და აღარ დაამტკიცეს! ასე ტრიალებს ბედის ჩარხი ამ ჩვენს კურთხეულს აფხაზეთში.

**ჰამლეთ-ბეი.**

*) ის ნომერი ხელთ არა მაქვს და ამიტომ ეს ციტატა ზეპირად მომყავს. აზრი სწორია. ჰამლეთ-ბეი.

---

...ნის გმირები ისტორიის ყველა ხანაშია შესაძლებელი, მაგრამ მათი რეფლექსია, სკეპსისი კი მხოლოდ ახალი დროის **დამახასიათებელ** კუთვნილებას შეადგენს...

**მეორე** სტადია ბაირონიზმის განვითარებაში—ეს არის ცხოვრების ავისა და კარგის გაცნობა. სკეპტიკურის ჭკუით, კრიტიკული საზომით აღბეჭდილი პიროვნება ცხოვრებას უფრო სალის თვალით უყურებს და მალეც რწმუნდება იმის უკულმართობაში. ზევით, ბარათაშვილის წერილიდან, ჩვენ დავინახეთ, რომ მსგავსი ცვლილება მასშიაც მოხდა. ამგვარ მდგომარეობის შედეგი ის არის, რომ ადამიანი თავის თავს ობლად ჰგრძნობდა, საზოგადოებას არ ესმის მისი და მას კიდევ—საზოგადოებისა. ბაირონი ერთ-ერთ თავის გმირზე გვეუბნება: „საზოგადოებისთვის იგი ისეთივე გარეშე იყო, როგორც საიქიოდან გადმოხვეწილი მბრძოლავი სული"-ო („ლარა", თავი 2). ბარათაშვილი სწერს:

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას,—
საბრალოა მხოლოთ სული ობოლი;
ძნელ-და ჰპოვოს, რა დაკარგოს მან
ტოლი!

ზემოხსენებულ ნიადაგზე ბაირონი პიროვნებასა და საზოგადოებას ერთმანეთს უპირდაპირებს, მათი ინტერესების შეჯახებას, ინდივიდუალიზმის ქადაგებას იწყებს. აქ კი ბარათაშვილის უარყოფა დედანისაგან განსხვავდება, მას **ეს მხარე თავის პოეზიაში სრულებით არა აქვს განვითარებული**. მიზეზები შემდეგშია:

ა) იმ დროს მოქალაქობრიობა ჩვენში ნაკლებად იყო განვითარებული და როგორც საზოგადოებას, ისე პიროვნებას არ შეეძლო თავისი ინტერესები წამოეყენებინა;

ბ) დამონებულ ერში, სადაც ძველი ნაციონალურ ტრადიციებს კიდევ მაგრათ ჰქონდათ ფეხი გადგმული, საზოგადოებისა და პიროვნების უფლებებზე წერა უადგილო და უნაყოფო იქნებოდა;

გ) თანამედროვე წრეში ნ. ბარათაშვილს იმნაირი ადგილი არ ეჭირა, როგორც ბაირონს, და იმის ნიჭს არც იმდენი გასავალი ჰქონდა, როგორც რუსეთში ლერმონტოვისა: საკმაოა გავიხსენოთ პუშკინის მოკვლის გამო უკანასკნელის დიდებულის ფილიკით გალაშქრება თანამედროვე საზოგადოების წინააღმდეგ ცნობილ ლექსში: «Погиб поэт невольник чести, палоклеветанный толпой» („На смерть Пушкина"). როდესაც ბარათაშვილის წერილებს გულ დასმით კითხულობთ, თითოეულ სტრიქონიდან გამოსჭვივს ის ფაქტი, რომ თანამემამულენი მასში ქვეყნის მარილს, სამშობლოს სიამაყეს კი არა, მხოლოთ უბრალო მომაკვდავს ჰხედავდნენ. თქვენ ატყობთ თუ როგორ ძალაუნებურად, რაღაც მანქანასავით, აჰყოლია მგოსანი სხვების ფეხის ხმას, თუ როგორ წამ და უწუმ ყოვლად უმნიშვნელო საგნებზე სწერს თავის ნაცნობ-ნათესავებს და მხოლოდ დრო-გამოშვებით ამოსქდება გულიდან დაუკმაყოფილებელი ბუნების უიმედო კვნესა. სამწუხაროდ, ბარათაშვილის წიგნაკი ამ ჟამად ხელთ არა გვაქვს, თორემ ჩვენ აზრს უფრო ნათლად დავასაბუთებდით.

**მ. ცეცხლაძე.**

(დასასრული იქნება)

---

# პოლკოვნიკ კარპოვის მოკვლა.

დეპეშათა სააგენტომ უკვე გვაუწყა ამბავი პეტერბურგის დამცველ პოლიციის უფროსის, პოლკოვნიკ კარპოვის მოკვლის შესახებ. პოლკოვნიკი კარპოვი ერთ დროს ბაქოს დამცველ პოლიციის უფროსად იყო. „რუსკ. სლოვო" ამ მკვლელობის შესახებ დამატებით ცნობებს გადმოგვცემს.

„პოლკოვნიკი კარპოვი 8 დეკემბერს მოჰკლეს, კარპოვის მოკვლისთანავე პეტერბურგში ათასნაირი ხმა გავრცელდა. ზოგიერთების აზრით საქმე ადვილად აიხსნება. რევოლიუციონერმა ვოსკრესენსკიმ დამცველ პოლიციას თავი პროვოკატორად მოაჩვენა, კარპოვის ნდობა დაიმსახურა და მისი დახმარებით დაიქირავა ოთახი, სადაც უნდა შეეტყუებინა სხვა და სხვა პირები და დამცველ პოლიციისთვის გადაეცა. პოლკოვნიკი კარპოვი მახეში გაება და ბოლოს მოკლულ იქმნა. ზოგიერთები კიდევ ირწმუნებიან, რომ ყველაფერი ეს ჩვეულებრივი ისტორიაო. ვოსკრესენსკი დამცველი პოლიციის აგენტი იყო. მას და კარპოვს უნდოდათ მთავრობის ყურადღების დამსახურება, მოაწყეს ოთახი, ჩვეულებრივ, „ყუმბარების" „ასაფეთქებელ მასალებით" და სხვა. განსაზღვრულ დროს დამცველი პოლიცია ამ ოთახს აღმოაჩენდა, იპოვიდა „ყუმბარებს" „ასაფეთქებელ მასალას" და სახლის პატრონი კი „ჩვეულებრივ" მიიმალებოდაო. ოფიციალურის ცნობებით კი საქმე სულ სხვანაირად ყოფილა. აქ პროვოკაციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ოფიციალური წყაროები შემდეგს გადმოგვცემენ: ასტრახანის ქუჩაზედ, ვოსკრესენსკის სახლში, სადაც განსვენებული პოლკოვნიკი კარპოვი დაიღუპა, მოწყობილი იყო ჯოჯოხეთის მანქანა. ჯოჯოხეთის მანქანა თავის სახლში მიუტანია ვოსკრესენსკის, რომელიც კარპოვს ელოდა. როდესაც კარპოვი ვოსკრესენსკისთან მივიდა, ვოსკრესენსკის პატარა ხანს უკან კარში გამოვიდა და მალე ჯოჯოხეთის მანქანაც აფეთქდა. ჯოჯოხეთის მანქანა შეერთებული ყოფილა ელექტრონის ზარის მავთულებთან და სწორედ ამ საშუალებით ვოსკრესენსკიმ ააფეთქა ჯოჯოხეთის მანქანა. პოლკოვნიკი კარპოვი ძალიან გაბედული კაცი იყო. ამ დღეებში მას წინადადება მისცეს გაეგო რამ პეტერბურგში დაარსებულ ახალ სარევოლიუციო ორგანიზაციის შესახებ. დანიშნულ დროს იგი გასაჩხრეკად ასტრახანის ქუჩაზედ წავიდა და აქ დაიღუპა. განსვენებული კარპოვი პროვოკაციის წინააღმდეგი იყო და ეს იქიდანაც სჩანს, რომ განსვენებული დონის როსტოვში ყოფნის დროს თავგამოდებით ებრძოდა პროვოკაციას. ასეთია ოფიციალური განცხადება კარპოვის მოკვლის შესახებ. კარპოვის მკვლელი ვოსკრესენსკი ახალგაზრდა კაცია. დაპატიმრების დროს მას სხვა და სხვა წერილები აღმოაჩნდა. ამ წერილებით ისარგებლა პოლიციამ და პეტერბურგის სხვა და სხვა უბნებში ჩხრეკა მოახდინა. პოლიციამ აგრეთვე მიაგნო ვოსკრესენსკის მეორე ბინას. ამ ბინაზედ ვოსკრესენსკის აღმოაჩნდა ბომბის ჟილეტი, ელექტრონის მავთულებით. ასეთ ჟილეტებს ხმარობენ ტერორისტები, როდესაც ყუმბარები, ან ჯოჯოხეთის მანქანები დააქვთ თანა. ამას გარდა ვოსკრესენსკის აღმოაჩნდა ფინლიანდიის, სხვა და სხვა ქალაქების ქუჩების გეგმები: ვოსკრესენსკი შლისელბურგის ციხეში დაამწყვდიეს. ჩვენების ჩამორთმევის დროს ვოსკრესენსკიმ განაცხადა, ტყუილად გიფიქრიათ, რომ რაიმე გითხრათო.

პოლკოვნიკ კარპოვთან ერთად ვოსკრესენსკის ბინაზედ დაიჭირეს „ლაქია". ჯოჯოხეთის მანქანის აფეთქების დროს „ლაქია" სამზარეულოში იყო და სამოვარს სდგამდა. აფეთქების დროს სამზარეულო ისე შეინძრა, რომ „ლაქია" კედელს მიეჯახა და სახე ბულ ჩამტვრეული აქვს. „ლაქია" დამცველ პოლიციის ცნობილი აგენტი იუენოვი აღმოჩნდა. თვით პოლკოვნიკი კარპოვს კი ისე დასახიჩრდა, რომ ვერავინ ველარ იცნო. ერთი ფეხი სულ მთლად მოგლეჯილი ჰქონდა, მეორე სულ მიმტვრეულ-მომტვრეული; სახე ისე იყო დასახიჩრებული, რომ ნახვაზე კაცს შიშის ჟრუანტელი უვლიდა. დიდი კვლევა-ძიების შემდეგ კარპოვი იცნეს და ისიც იმით, რომ მის გვერდით იპოვეს ვერცხლის პორტსიგარი განსვენებულის ინიციალებით.

მოვიყვანთ კიდევ ბერლინელ გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის" აზრს. გაზეთის სიტყვით პოლკოვნიკი კარპოვი მოუკლავთ რევოლიუციონერებს. კარპოვი და აზეფი მეგობრები ყოფილან და მათ ერთხელ მოუწყვიათ ორგანიზაცია ბურცევის მოსაკლავად, რაიც ჟორესმა თავის დროზედ გამოაქვეყნა. გაზეთის აზრით რევოლიუციონერებმა ეს კარგად იცოდნენ და შური იძიეს.

ვოსკრესენსკის ბიოგრაფია.

„ნოვოე ვრემია"-ს ცნობებით, კარპოვის მკვლელი ვოსკრესენსკი სარატოველია. სოფლის მასწავლებლად ნამყოფი, გვარად ალექსანდრე პეროვსკი. პეროვსკი 1904 წელს სოციალისტ-რევოლიუციონერებში შევიდა და ოთხი წლის შემდეგ, 1908 წელს დამცველ პოლიციის აგენტობა იკისრა. აზეფის მოქმედების გამოქვეყნების შემდეგ პეროვსკის შეეშინდა, პარიზში წავიდა და იქ ამხანაგებს ყველ აფერში გამოუტყდა. პეროვსკიმ თავის ამხანაგებს აღუთქვა, პეტერბურგის დამცველ პოლიციის უფროსს, გერასიმოვს მოვკლავო. მალე გერასიმოვი სხვაგან გადაიყვანეს და მის ადგილას დანიშნეს კარპოვი და პეროვსკიმაც მასზედ იყარა ჯავრი. პეროვსკი თვეში 1000 მანეთს იღებდა. იგი ხშირად დაიარებოდა კარპოვთან და კარპოვის გარდა არავინ იცოდა, რომ პეროვსკი დამცველ პოლიციის აგენტად იყო. თვით კარპოვი სცდილობდა არავის გაეგო ეს. პეროვსკის აგრეთვე კავშირი ჰქონდა აზეფთან და პეტერბურგში მასთან ხშირ-ხშირად დაიარებოდა. პეროვსკის აგრეთვე მიწერ-მოწერა ჰქონია ბურცევთანაც და როდესაც ბურცევს მისთვის ურჩევია დამცველ პოლიციიდან გასვლა, მას უპასუხნია, მხოლოდ მაშინ წავალ დამცველ პოლიციიდან, როდესაც ჯავრს ვიყრიო. პეროვსკის დამცველ პოლიციაში შესვლისთანავე პირობა დაუდვია დამცველ-პოლიციისთვის, სარატოვის სატუსაღოდან ჩემი ამხანაგები უნდა გაანთავისუფლოთო, რაიც აუსრულებიათ. პეროვსკის დაუტოვებია მემუარები, რომლებსაც ამ დღეებში გამოაქვეყნებენ.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ისტორიული მიმოხილვა.** 1911 წელს სრულდება ასი წელიწადი, რაც რუსეთის სინოდის განკარგულებით და უმაღლეს მთავრობის თანხმობით გააუქმეს თითქმის 14 საუკუნის განმავლობაში არსებული საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესია. ამ წელს რუსეთში მოიწვიეს უკანასკნელი ქათალიკოსი ივერიისა ანტონ მეორე, შემოიღეს ექსარხოსობა და დანიშნეს პირველი ექსარხოსი. ჩვენის საეკლესიო ისტორიის მცოდნეთ აზრადაქვთ, შეადგინონ ისტორიული მიმოხილვა ავტოკეფალიურ ივერიის ეკლესიისა გაუქმების დრომდე და შემდეგ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში. უმთავრესი ყურადღება მიექცევა უკანასკნელ ასის წლის ისტორიას. ისტორია გამოიცემა მომავალ 1911 წლისთვის.

✦ **ახალი ექსარხოსი** როგორც ქალაქში ხმა დადის, საქართველოს ექსარხოსად უკვე დაუნიშნავვთ ტამბოვის მთავარ-ეპისკოპოსი ინოკენტი. ახალი ექსარხოსი ტფილისში მომავალ დღესასწაულებისათვის ჩამოვა.

✦ **სამღვდელოების კრება.** გუშინ, 14 დეკემბერს, საქართველოს ეკლესიის სახლში პუშკინის ქუჩაზე (ყოფილი სემენარიის შენობა) დაიწყო კრება ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატებისა. სხდომა გაიხსნა 12 საათზედ. დეპუტატებს მხოლოდ სხდომის გახსნისას დაურიგეს განსახილველ საქმეთა სია. სხდომაზე არავის უშვებენ. კარებთან დაყენებულმა პოლიციელმა გაზეთის წარმომადგენელ არ შეუშვა ამის გასაგებად და უთხრა, მაგისთვის საჭიროა პოლიცმეისტერის ნებართვაო. კრებაზედ ამორჩეულ 44 დეპუტატიდან გამოცხადდა 37 კაცი. მოელიან სხვა დეპუტატებსაც. სხდომის გახსნისთანავე კრება პრეზიდიუმის არჩევას შეუდგა. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს საგურამოელი მღვდელი ალ. ჯალიაშვილი; მდივნებად მ. ს. ხუნდაძე და პოტაპენკო. გუშინვე საარჩევნო ფურცელი კრების დავალებით კამისიამ [illegible] ტკიცებლად [illegible] ლეს. კრება [illegible] დღეს, 15 დეკემბერს.

✦ **წარმოდგენების და გასართობების აკრძალვა.** საზოგადო საქმეთა დეპარტამენტმა რუსეთის გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს ცირკულიარული მოწერილობანი დაუგზავნა სკოლებში წარმოდგენების აკრძალვის შესახებ. კიევში მომხდარ მისიონერთა კრებას სურვილი გამოუთქვამს, რომ სარწმუნოების სიმტკიცისათვის საჭიროა აღიკრძალოს სასწავლებლებში წარმოდგენების, კონცერტ-სალამო-

✦ **დახმარება „კახეთიას".** თავად-აზნაურთა მარშლებს და დეპუტატებს დაუდგენიათ, დაეხმარნენ მეღვინეთა საზოგადოებას „კახეთიას". საზოგადოებას სასოფლო-სამეურნეო თანხიდან მიეცემა 50,000 მანეთი.

✦ **მ. არამიანცის გარდაცვალება.** „ნ. რ."-ს სიტყვით, ბაქოში გარდაცვლილა სომეხთა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ექიმი მ. არამიანცი.

✦ **ქალაქის სტიპენდიები.** ტფ. ქალაქის საბჭომ 1904 წელს რუსეთის პრესის არსებობიდან 200 წლის შესრულების აღსანიშნავად დაადგინა, დანიშნოს 2 სტიპენდია ტფილისის საშუალო სასწავლებელში. გამგეობამ მხოლოდ ეხლა მოიგონა ეს დადგენილება. უკანასკნელ სხდომაზე გამგეობამ დააწესა ეს სტიპენდიები, თითო 120 მან.

✦ **ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა.** პეტერბურგში დაარსებულა მუდმივი კომიტეტი, რომელსაც აზრადა აქვს იბრძოლოს საჭმლისა, სასმლისა და სხვა სანოვაგის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. კომიტეტის თავმჯდომარემ ტფ. ქალაქის გამგეობას სთხოვა, დანიშნოს აღნიშნულ კომიტეტში თავისი მუდმივი წარმომადგენელი. გამგეობამ წარმომადგენლად დანიშნა ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი გ. ნ. სტეფანოვი.

✦ **მოწაფენი.** ამას წინად მცხეთის ქალთა ოთხ კლასიან სასწავლებლის მოწაფენი ჩამოიყვანეს მასწავლებლებმა ტფილისში და დაათვალიერებინეს ზოგიერთი შესანიშნავი ადგილები. წაიყვანეს ფუნიკულერზე, სამხედრო მუზეუმში და უსინათლოთა სკოლაში. სახაზინო თეატრში ეინხველდმა უფასოდ მიიწვია ბავშვები ოპერაზე.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** კვირას სახალხო სახლში გამართულ წარმოდგენის მთელი შემოსავალი ქ-მა ვ. თ. კამისარჟევსკიამ ტფ. სახალხო უნივერსიტეტს შესწირა. უნივერსიტეტის თავმჯდომარემ ვ. ი. რცხილაძემ იქვე სცენაზედ მადლობა გამოუცხადა კამისარჟევსკიას. რომ შემოსავალი წარმოდგენისა არ შემცირებულიყო, ქალაქმა ყოველი ხარჯი იმის გამართვაზე (მარკებზე, განცხადების დაბეჭვდა და სხვა) თითონ იკისრა.

✦ **მოხელეთა წასვლა.** ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის გამგეობაში რაღაც ამბავი ხდება: მოხელენი სამსახურს თავს ანებებენ. მიდიან საქმის მწარმოებლის თანაშემწენი ჩერნეცოვი და ზახაროვი, ბუხჰალტერი პაცევიჩი, მისი თანაშემწე აბულაძე. ამბობენ კიდევ ბევრნი წავლენო, უმთავრესად ისინი, ვისაც წინანდელ ოლქის უფროსის ლინდენის დროს დიდი გასავალი ჰქონდა.

ებისა და სხვა ამგვარ გასართობების გამართვა, ეს სურვილი დეპარტამენტს გამოუყენებია საფუძვლად და წინადადებას აძლევს გუბერნატორებს, დაავალოს პოლიცმეისტერებსა და მაზრის უფროსებს, რომ კვირა-უქმეებში და შაბათობით არც ერთ სასწავლებელს ნება არ მისცენ გასართობების გამართვა-მოწყობისა. გასართობების ნებართვა მიეცემათ მხოლოდ სამეურნეო სასწავლებლებს.

✦ **კანტორად გადაკეთება.** „კასპი“-ს სიტყვით, სახელმწიფო ბანკის ტფ. განყოფილებას სახელმწიფო ბანკის კანტორად გადააკეთებენ.

✦ **მერაბის არჩევანი.** 13 დეკემბერს ტფ. საბჭოს დარბაზში მოხდა ტფილისის მიდამოებისა და ალოო-მახლოო სოფლების მებაღეთა კრება მერაბის ამოსარჩევად და სხვა და სხვა საკითხის განსახილველად. პირველად კრებამ მოისმინა ანგარიში მერაბის საკანცელარიისა. ანგარიშიდან გამოირკვა, რომ მას საბჭოსა და მებაღეების დაუკითხავად დაუხარჯავს 800 მან. როცა მოჰკითხეს გასამართლებელი საბუთები, მან ვერაფერი ვერ წარადგინა. დაადგინეს სარევიზიო კომისიის არჩევა საკანცელარიის მოქმედების გამოსარკვევად და შემდეგ სხდომაზე მოხსენების წარმოსადგენად. დასასრულ აირჩიეს წყალთა მეორე ოლქის მერაბად პოდპოლკოვნიკი აველტიქიანცი, ხოლო იმის კანდიდატად ა. შარაფიანცი. მერაბს ჯამაგირად დაუნიშნეს 800 მან. 2 ოლქის სარწყავ წყალთა საბჭოში აირჩიეს წევრებად: ვერის მხრიდან—მ. ანანოვი, ორთაჭალიდან—მორტყულაძე, კრწანისიდან—ბაისოგოლოვი და სოლანლუღიდან—ბეითალი მელქუმოვი.

✦ **სახალხო კითხვების მოწყობის მსურველთა საყურადღებოდ.** სახალხო კითხვების გამგეობამ მიიღო ნებართვა ადგილობრივ ენებზე კითხვების მართვისა. ამ კითხვების შესახებ მოლაპარაკება გაიმართება დღეს, სამშაბათს, 5 საათზე „ნაკადულის“ რედაქციაში. იმედია, ყველა, ვინც დაინტერესებულია ამ საქმეში, დაესწრება ამ მოლაპარაკებას და ხელს შეუწყობს ავჭალის აუდიტორიაში და სხვაგან შაბათ-კვირაობით კითხვების მოწყობის საქმეს

✦ **სტუდენტების ექსკურსია.** ტფილისში ჩამოვა კიევის უნივერსიტეტის 10 სტუდენტი პროფესორ რადოცკის მეთაურობითა და ხელმძღვანელობით. ექსკურსანტები კიევიდან გამოვლენ 16 დეკემბერს.

✦ **შეკითხვა.** „ბაკუს“ სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას სათათბიროში შემდეგი შეკითხვა შეუტანია: იციას თუ არა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა, რომ 1903 წელს საგლეხო ბანკმა კავკასიაში შეისყიდა პოლკოვნიკ დუბასოვის ადგილი და ამ მამულზე შიდა რუსეთიდან გადაასახლა 7,000 სული კაცი. დუბასოვმა გლეხებთან აშკარად უკანონო ხელშეკრულება დასდო და საგლეხო ბანკმა ამას ყურადღება არ მიაქცია. ესაა მიზეზი, რომ 1909 წელს საგლეხო ბანკმა რამდენიმეასს გადასახლებულს, სულ ერთიანად წაართვა წლიური მოსავალი და გადასახლებულებს ბინიდან ჰყრიან და სხვა. თუ სტოლიპინმა და კოკოვცევმა ეს იციან, რა ზომებს იღებენ ბანკის ასეთ საქციელის ასალაგმავადაო.

✦ **გზოხოკენ ქველმოქმედთა საყურადღებოდ დაგბეჭდოთ:** ვერაზე, ბუდაუთის ტუპიკში, № 3, მირველოვის სახლში სცხოვრობს კატო ჯოჯიშვილი, რომელიც ძალზე გაჭირვებულია. ჰყავს ოთხი ქალი, რომელთაგან უფროსი 15 წლისაა. ოჯახს მამაკაცი, ოჯახის მარჩენალი არ გააჩნია და არც სახსარი მოეპოვება.

✦ ტფილისში შემდეგი ამბავი მოხდა. როგორც აღვნიშნეთ, ვერაზედ ვიღაცებმა რევოლვერით მოჰკლეს „ფანტაზიის“ ბაღის პატრონი მიხეილ სტ. ტერმ-იხითარიანცი. ეჭვით დააპატიმრეს 17 წლის ყმაწვილი ანდრია გრიგოლისძე მინელაძე და ალექსანდრე რევაზის მე ანდრონიკაშვილი. 13 დეკემბერს დააპატიმრეს თელავის მცხოვრები ახლად ჯარის კაცად გაწვეული კ. ნ. ბეგიჯანოვი, რომელიც ვარშავის სამხედრო ოლქში იყო გაგზავნილი, მაგრამ გზიდან გამოქცეულა. 12 დეკემბერს დააპატიმრეს ტფ. მცხოვრები გრიგოლ არუთინოვი და უსიკ ბაბანიანცი, რომელთაც ჰბრალდებათ „გოროდოვიის“ გეურქოვის მოკვლაში მონაწილეობის მიღება. ამავე დღეს დააპატიმრეს ნიკოლოზ ტიგიშვილი, რომლის სახლშიაც იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი აღმოაჩინეს. ჩხრეკის დროს 12 დეკემბერს დააპატიმრეს პოლიციის მე-10 ნაწილში—47 და მე 5 ნაწილში—61 უპასპორტო კაცი. ამავე მიზეზით მეხამე საპოლიციო ნაწილში დააპატიმრეს—28, ნაძალადევში—19, მე-9 ნაწილში—55 და მე-6 ნაწილში—22 კაცი. რუსულ-სომხური ლექსიკონის გამომცემელს არუთინ დაგამიანცს შეუკვეთია მარტიროსიანცის სტამბაში დასაბეჭდად 500 ცალი წიგნი. ამ წიგნიდან დაგამიანცს არ მიუღია 1000 წიგნი, 8000 მანეთისა. პოლიციამ დააპატიმრა გიორგი და ათაბაგოვი მეორე იოსებ ათაპეგოვი დამალულა. წიგნები უნახავთ სუბმათ გორგაბიანის წიგნის მაღაზიაში. დააპატიმრეს ამ წიგნებს მაღაზიაში მიმტანი და გამყიდველი ივანე დიდაროვი,

## ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

13 დეკემბერს წ.-კითხვის საზოგადოებამ განაგრძო სხდომა. თავმჯდომარეობდა ბ-ნი გ. ნ. ყაზბეგი. 6 დეკემბრის სხდომის ოქმის დამტკიცების შემდეგ, კრებამ მოისმინა თავმჯდომარის გ. ნ. ყაზბეგის ვრცელი მოხსენება მთავარ გამგეობის მოქმედების შესახებ. გამგეობა სულ ერთი, როგორც ამ მოხსენებიდან სჩანს, წელიწადი მოქმედებდა და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაუკეთებია—მრავალი საკითხი აღუძრავს და მრავალი რამ განუხორციელებია. ბ-ნმა თავმჯდომარემ სიტყვიერად აცნობა კრებას, რომ მე, როგორც თავმჯდომარე, მასალად გიდგენთ ამ მოხსენებას, რათა იცოდეთ, რა გააკეთა გამგეობამ. ეს სახეში იქონიეთ, როცა ჩვენ მოქმედებას შეეხებით.

ამის შემდეგ კრება, 6 დეკემბრის სხდომის დადგენილების თანახმად, შეუდგა ანგარიშის განხილვას. სხდომა 12 საათზე დაიწყო და დასრულდა საღამოს შვიდ საათზე. ძალიან ბევრი ლაპარაკი იყო. ორატორები ხშირად ერთსა და იმავეს იმეორებდნენ, ან სხვის ნათქვამს ამბობდნენ და ამის გამო გაჭიანურდა სხდომა.

პირველად ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ანგარიშში წევრთა რაოდენობამ. ზოგნი მიზეზს წევრთა რიცხვის ნაკლებულობისას საწევრო გადასახადის სიდიდეში ჰხედავდნენ და ურჩევდნენ კრებას, სამი მანეთის ნაცვლად ერთი მანეთის დაწესებას; ზოგნი კიდევ—საზოგადო ქართველურ დაუდევრობაში. პრინციპიალურად თითქმის ყველა თანახმა იყო საწევრო ფულის დაკლებისა, მაგრამ ბევრს უხერხულად მიაჩნდა ეხლა წესდების შეცვლა. აღნიშნეს ორატორებმა ისიც, რომ ამ საგანს წინა წლის კრებაც შეეხო. მაშინ არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც საჭიროდ სცნო წესდების შეცვლა და სრული რეორგანიზაცია საზოგადოებისა. მაგრამ შარშანდელმა კრებამ გაითვალისწინა არსებული პირობები, დაინახა საფრთხე და დაადგინა ჯერჯერობით ხელუხლებლად დარჩეს წესდებაო.

ბოლოს კვირის კრებამ ხმის უმრავლესობით ეხლანდელ ვითარებაში შეუძლებლად სცნო წესდების შეცვლა.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია აგრეთვე ანგარიშის იმ მუხლმა, რომელიც წიგნების ვაჭრობას შეეხება. შეეხნენ ზარალსაც და გაიმეორეს იგივე, რაც წინა კვირის სხდომაზე ითქვა. ზოგიერთებმა კვლავ მოითხოვეს კომისიის არჩევა საზოგადოების ქონების სარევიზიოდ. ზოგი შეეხო კერძოდ მდივანს და ყველაფერი მას მოახვია კისერზე — ეხლანდელ მდივნის ხელში საზოგადოება დაიღუპაო. მდივანმა პასუხი გასცა ამათ და ციფრებით დაამტკიცა, რომ იმის მდივნობის დროს საზოგადოების საქმეები ერთი ორად გაფართოვდა და გადიდდა: სკოლებისა და ბიბლიოთეკების რიცხვმა იმატა, წიგნები გამოიცა სამჯერ მეტი წინანდელზე; საწევრო ფული წინად თუ 500 მანეთი შემოდიოდა, ეხლა ორთა შუა რიცხვით 1500 მანეთი შემოდის და სხვა. მდივანი შეეხო წიგნების დაკარგვასაც და დაწვრილებით აღნიშნა ყველაფერი.

კრებამ ამავე სხდომაზე მოისმინა შ. ქუჩუკაშვილის წერილობითი მოხსენება. ქუჩუკაშვილს ვრცლად აქვს აღწერილი, რა მდგომარეობაში იყო იგი. მრავალი საქმე მქონდა დავალებული და ხშირად იძულებული ვიყავ მაღაზიისთვის მთელი საათობით თავი მიმენებებინა. მაღაზიაში შესვლა ყველას შეეძლო, საქმიან და უსაქმოს, და ასეთმა პირობებმა ხელი შეუწყეს წიგნების დაკარგვას. ხშირად ჩემი ფულით ვავსებდი დანაკლისსაო.

ანგარიშის დამტკიცება ვერ მოესწრო და კრების გაგრძელება მომავალ კვირისთვის გადაიდო.

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

**თათბირი შორეულ აღმოსავლეთის საქმეებზე.**

ამ დღეებში რუსეთის პირველ—მინისტრმა სტოლიპინმა თათბირი მოახდინა შორეულ აღმოსავლეთის საქმეებზე. თათბირს მინისტრებს გარდა დაესწრნენ დეპუტატები გუჩკოვი, ბალაშოვი და კრუპენსკი. გარეშე საქმეთა მინისტრმა იზვოლსკიმ მოხსენება წაიკითხა და დაამშვიდა მინისტრები და დეპუტატები, რომ იაპონიასთან ამ ჟამად კარგი განწყობილება აქვს რუსეთს და ამიტომ რუსის საზოგადოება სრულიად უსაფუძვლოდ შფოთავსო.

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებში ხმა გავრცელდა, რომ დანარჩენი მინისტრები არ ეთანხმებიან იზვოლსკის და სულ სხვა თვალით უცქერიან შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა მდგომარეობასო.

**იაპონიის მთავრობის განცხადება.**

იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ ერთს ინგლისურ გაზეთში, რომელიც იაპონიაში ქალ. კობეში გამოდის, გრძელი დეპეშა დაბეჭდა რუსეთ-იაპონიის განწყობილების შესახებ. იაპონიის სამინისტრო ამტკიცებს, რომ საშიში ხმები ომზე პირველად რუსეთის სამფლობელოში გავრცელდაო, და გადაჭრით აცხადებს, რომ ამ ჟამად ომი რუსეთსა და იაპონიას შორის ყოვლად შეუძლებელიაო, რადგან მათ არავითარი სადავო საგანი არა აქვთ და მათ შორის მეგობრული განწყობილება სუფევსო. ამიტომაო, აცხადებს ხსენებული გაზეთი, ამ ჟამად არავითარი საფუძველი არ არსებობს ომს მოველოდეთ შორეულ აღმოსავლეთშიო.

**ჩინეთის საომარი მზადება.**

რუსული გაზეთები ირწმუნებიან, რომ იაპონიას გარდა, რუსეთის წინააღმდეგ საომრად ჩინეთიც ემზადებაო. ვლადივოსტოკიდან ატყობინებენ გაზეთებს: მანჯურიის ჩრდილოეთის საზღვარზე ჩინეთის მთავრობამ დიდ რაზმებს მოუყარა თავიო.

**შეცდომის გასწორება.**

ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნომერში შეცდომით იყო დაბეჭდილი: „მარტინი ჰფიქრობს, რომ რუსეთ-იაპონიის ახალი ომი 5 წელიწადზე ადრე არ მოხდებაო“. სიტყვა „არ“ აქ შეცდომითაა ჩამატებული.

## ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

**ახალი პიესა.** დღეს ქართულ თეატრში წარმოსადგენად დანიშნულია ს. გლახაშვილის ახალი ორიგინალური პიესა „წყურვილი“ (3 მოქ. 4 სურათი) ამ პიესისთვის ახალი დეკორაციებია დახატული. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. მოგვყავს მოკლე შინაარსი.

პიესაში დაპირდაპირებულია ორი მხარე: სოფელი და მისი მფლობელი. სოფლის მფლობელია თავადის ოჯახი, რომლის პატრონიც მოუშორებიათ ოჯახისთვის და სადღაც ციმბირის მხარეს გარდაცვლილა, ხოლო მისი ადგილი დაუჭერია ერთ გავლენიან პირს, რომელიც უყვარს ოჯახის დიასახლისს. ეს დიასახლისივე მარიამი, ოდესღაც ამაყი და თავისუფალი, მონად გამხდარა და ამ უცხოსთვის დაუმონებია თავისი შვილებიც და მთელი სოფელიც. მარიამს პირველ ქმრისაგან ჰყავს ქალ-ვაჟი. მეორისგანაც ქალ-ვაჟი ჰყავს, რომელთაც ისე ზრდის, როგორც მბრძანებელი უბრძანებს. პირველ ქმრისაგან წაყოლილი ქალი ქეთევანი იზრდება იმავე სოფლის დედა-კაცის გავლენის ქვეშ, რომელიც თავისებურად აყვარებს სოფელს და იქ მცხოვრებთ, დაჩაგრულთა და დაბეჩავებულთ. მეორე ქმარი არა კმაყოფილდება იმით, რა უფლებაცა აქვს მინიჭებული თვით მარიამისაგან, და მოხერხებით დაისაკუთრებს მთელ ქონებას. იგი ნამდვილ მტარვალად გადაიქცევა: სოფლის გლეხებისავე დახმარებით ააგებს დიდ კედელს და სოფელს უხმობს მზეს და უსპობს წყალს.

სოფელი ხმებიანდება. მზის სხივი აღარა ჰხდება. წმინდა ანკარა წყაროს წყლის ნაცვლად დამპალ წყალსა სვამენ. თითქმის ყველა დასნეულებულია. ჩნდება ათასი ჭირი...

დასნეულდა სოფელი და ძლივს მიჰხვდა, რომ მიზეზი ამისა არის ის კედელი, რომელმაც მზის სხივი დახშო და წყარო შეჰკრა. მიჰგზავნიან წარმომადგენელთ მბრძანებელთან და სთხოვენ მოწიწებით კედლის დაქცევას. მაგრამ მბრძანებელი თხოვნის შესრულების ნაცვლად, დაემუქრება: გუარეს დღეს დაგაყრით, სულ ყველა ადაგასახლებთო. აქ-კი სოფელი ამხედრდება, იერიშს მიიტანს და კედელს დააქცევს...

ეს არის ფაბულა პიესისა.

—

**ქუთაისი.** წარსული კვირა ჩვენთვის სამუსიკო კვირად ჩაითვლება. გვესტუმრა ტფილისის საოპერო დასი და სამი წარმოდგენა გაგვიმართა. 7, 8 და 9 დეკემბერს შემდეგი ოპერები წარმოგვიდგინეს: „ევგენი ონეგინი“, ტრავიატა“ და „კარმენ“. კარგ მომღერლებსა და ტკბილ მუსიკას მონატრულებული ქუთათურები, სიამოვნებით დაეწაფნენ ამ ოპერებს.

ალბად ეს იქნებოდა ერთი მიზეზი იმისი, რომ 10 დეკემბერს „ექსპრომტად“ დანიშნულ ქართულ წარმოდგენას, ხელმეორედ განმეორებულ დრამას „მარიამ სტიუარტს“ ნაკლები საზოგადოება დაესწრო. რამდენადაც გალერეიაზე ბევრი ხალხი იყო, იმდენად პარტერი ამ საღამოს ცარიელი იყო. იყო სხვა მიზეზებიც. უმთავრესად კოკისპირული წვიმა, რომელმაც მხოლოდ წარმოდგენის წინ გადაიღო. საერთოდ ამ საყურადღებო პიესას განმეორება ნაჩქარევი და უცბად გადაწყვეტილი იყო, ჩვენ-კი გვეგონა, რომ მის ხელმეორედ წარმოდგენისათვის დასი უფრო შესაფერს დროს აარჩევდა.

გაკვრით უკვე აღინიშნა, რომ დასი წრეულს მეტად ნაკლებ ყურადღებას აქცევს შინაარსიან კომედია—ვოდევილებს, თითქოს ჩვენს საზოგადოებას არ უყვარდეს ჯან-საღი სიცილი და ამგვარ პიესების მოსმენა.

30 წარმოდგენაში, რომელიც დასმა დასდგა ამ სეზონში, ოცზე მეტს პიესას ჩამოსთვლით ისეთს, სადაც მაყურებელს ოხვრა-კვნესა და ხშირად ცრემლები სჭირია, ხუთიოდე გამოერევა ისეთი პიესა, სადაც თუმცა მძიმე მოსასმენია, მაგრამ მაინც ნაკლებ „გულის ფრიალის“ გამომწვევი, და მხოლოდ ერთი ან ორი ისეთი, სადაც მხიარულად-გულიანად შეიძლება გაეცინოს. ცალ მხრივობა არაფერში არვარგა, არც ამ შემთხვევაში. ჩვენ პირადად დრამას და ისიც თანამედროვეს, რასაკვირველია, უფრო მაღლა ვაყენებთ, მაგრამ მოსწყინდათ, ბატონებო, თეატრშიაც და ცხოვრებაშიაც მუდამ „ვაი და ვიშის“ ძახილი, საჭიროა დროგამოშვებით მხიარული—შინაარსიანი კომედიები, რომ მუდამ წარბ. შეკრულ მაყურებელს ჯანყის ბურუსი მოკლე ხნით მაინც მოსცილდეს გულიდამ.... **ჯაფარ-ფაშა.**

—

**ავლაბრის თეატრი.** შაბათს, 12 დეკემბერს, ქართულ სცენის მოყვარეებმა სვ. სვიმონიძის რეჟისორობით წარმოადგინეს ტირიფონ რამიშვილის პიესა „მეზობლები“.

წარმოდგენას ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო, რაიც სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან, რამდენადაც ვიცი, ავლაბარში გასართობი არაფერია და, როგორც სჩანს, ავლაბრის მცხოვრებლებს ან შინ ჯდომა ურჩევიათ, ან კიდევ... დუქნებში ქეიფ-ლოთობა.

12 დეკემბრის წარმოდგენაში აღსანიშნავნი არიან თამარ გოგოლაშვილი, მ. მარგველაშვილი, ს. სვიმონიძე, მიწა-ბოგრელი და სალაყაია. როლები არ იცოდნენ ფიქრიშვილმა და გომელაურმა.

უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ გარემოებას, რომ ქართველი კაცის ყურთა-სმენას ეხამუშება ზოგი ერთა სცენის მოყვარის კილო. თუ არ დაიზარებენ და ცოტას მაინც იმუშავებენ, ამის გასწორება ადვილია.

წარმოდგენა თითქმის ცხრა საათზე დაიწყეს, რაიც აქტივში ვერ ჩაეწერებათ ჩვენ სცენის მოყვარეებს, მით უმეტეს, გამოცხადებული იყო „დასაწყისი სწორედ 8 საათზე“-ო. ავლაბრის თეატრს სულ მუშა ხალხი ესწრება და რაც ადრე გათავდება წარმოდგენა, მით უკეთესია. **გრი—გრი.**

—

**წარმოდგენა „ესპერანტოს“ ენაზე.** 50 წელიწადი შეუსრულდა „ესპერანტოს“ ენის ავტორს ლ. ლ. ზნამენგოფს. ზნამენგოფის პატივსაცემლად დღეს ზუბალაშვილის სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება ესპერანტო ენაზე ზნამენგოფის მიერ ნათარგმნი ჩეხოვის 1 მოქმედებიანი პიესა ხუმრობა „წინადადება“.

—

**ვერის აუდიტორია.** შაბათს, 12 დეკემბერს, ვერის აუდიტორიაში სცენის მოყვარეებმა ითამაშეს კომედია „სიძესიმამრი“. თამაში სუსტი იყო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როლი ყველა მოთამაშემ სუსტად იცოდა. ანკარამ და მეტრეველმა თუმცა იცოდნენ როლები, მაგრამ ისე უგულოდ თამაშობდნენ, რომ მსმენელზე სასურველ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდნენ. შედარებით კარგი იყო გოგია (ექიმი საყვარელიძე), თუმცა როლის ბეჯითად არ ცოდნა მასაც ეტყობოდა. დავიწყებული (კატოს როლში) პირველ გამოსვლისათანავე მსმენელს იმ ერთნაირ გრძნობით იპყრობდა, რომელიც ჟრუანტელს უვლის—აი, საცაა თამაში გაფუჭდებაო. მესამე მოქმედებაში, როდესაც სიყვარულს უცხადებს ექიმს, წასკდა სიცილი, რომელიც გაგრძელდა მოქმედების დასრულებამდე. გარდა ამისა, არც ხმა უწყობს ხელს. მოთამაშენი სიტყვებს სტოვებდნენ ან თავისას უმატებდნენ.

სცენის მოწყობაში იყო შესამჩნევი დეფექტები. წარმოდგენის დროს ხმაურობა იყო. შეუძლებელიც იყო პიესის ყურადღებით მოსმენა. უნდა ეცადნენ ადმინისტრატორნი წესიერებისიდამყარებას. ეს უპირველესი საქმეა ხალხის მოსაზიდავად. იმ ბატონების წინააღმდეგ, რომელთაც თეატრი „სამასხარო ადგილად“ წარმოუდგენიათ, ყოველივე ღონე უნდა იღონონ. წარმოდგენას ცოტა ხალხი დაესწრო.


**ᲔᲥᲘᲛᲘ** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—23)

კ ი რ ვ ე ლ ი კ ე რ ძ ო ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**ᲓᲝᲥᲢ. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ**

დაარსებულია 1886 წელს

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე—კვირეების გარდა

**დ ი ლ ი თ :**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი :**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—236)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ

**ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ**

ამით აუწყებს სატრაქტირო მრეწველობის დაწესებულებებს, რომ იმათი დაწესებულებანი, ვისაც გამგეობიდან 1910 წლის პირველ იანვრამდე ვაჭრობის უფლების მოწმობა არ აუღია, დაიკეტება იმ დრომდე, სანამ მოწმობებს აიღებენ. (1—ნ.—1)

◀ შემთხვევით ძალიან ▶

**Ი Ა Ფ Ა Დ**

იყიდება მამული „საბურთალოზე“ სივრცით 85 ოთხ-კუთხი საჟენი (кв. с.) მიწა პირობები შეგიძლიანთ გაიგოთ ბარიათინსკის ქუჩა, გენერალ ბაკპაშევსკის ბინა, იკითხეთ გრიგორ . (1—579—1)

საყმაწვილო ახალი წიგნაკი

**„ᲡᲘᲒᲠᲐᲚᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲑᲐ“**

**ნატალია რ. გიგაურისა. ფასი 3 კაპ.**

იყიდება ტფ. წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში—მთავრიშვილის მაღაზიაში, გორში და მიხაილოვში მაისთროვის მაღაზიებში და სურამში—ხორავასთან, (4—ფ.—4)

**ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲐᲒᲐᲔᲕᲘ**

**Ქ. Ბ Ა Თ Ო Მ Შ Ი.**

რადგან ბათომის, ქუთაისის და მისივე მაზრის ბევრმა მცხოვრებმა არ იცის ჩემი სავაჭროს გადატანა ახლად აგებულ «პ ა ს ა ჟ შ ი», და ამასთან რადგან ბლომად მაქვს მოგროვილი დიდი ხნის საქონელი და აგრეთვე მიღებული მაქვს დიდ-ძალი ახალი საქონელი რუსეთისა და საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებისა, ამიტომ **გაიმართა ძლიერ გაიაფებული ბაზარი 7 ამა ქრისტეშობისთვიდან ვიდრე დამლევამდის.**

ფასები დაკლებული იქნება ჩვეულებრივზე **20-დან 60 პროცენტამდის** ყველა ქვემო-ჩამოთვლილ საქონლებზე: ყოველ-გვარი შუშეულობა, ფარფორის და ფაიანსის სერვიზი, ლამპული ნავთისა და ელექტრონისა და მისი პროვოდები, ბრონზეული, მელხიორის დანა-ჩანგლები, სპილენძეული, სამოვრები, ემალ-გადაკრული ჭურჭლეული და სამზარეულოს ყოველ-გვარი მოწყობილება—ფეჩქები, ქურნები ნახშირისა, შეშის თუ ნავთისა, კლიონკები. ყოველ-ნაირი მებელი, სკამები, სარკეები, პირის საბანებლები, რკინის კრაოტები, მატრაცები და ბევრი ამგვარი საქონელი იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება მობრძანდება და თვით დარწმუნდება, რომ მართლაც ძლიერ იაფი ფასებია დანიშნული საქონელზე. ვაჭრობა ნაღდზეა და გადაწყვეტილი ფასიც საქონელზეა დაწერილი. (10—ფ.—4)



ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ „Кайзеръ“

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲘᲡ ᲫᲔ ᲗᲐᲑᲐᲒᲐᲠᲘᲡ**

**ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი :** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—95)